“დინამო” (თბილისი) - “ტორპედო” (მოსკოვი) - 4:1

19 ოქტომბერს თბილისში ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე თბილისის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა ჩაატარა თავისი უკანასკნელი შეხვედრა სსრ კავშირის 1947 წლის პირველობაზე. ამ დღეს მის წინააღმდეგ თამაშობდა მოსკოვის სტალინის სახელობის ავტოქარხნის გუნდი “ტორპედო”.

თამაშის დასაწყისში ინიციატივა ტორპედოელთა ხელში იყო. მეორე წუთზე მოსკოველებს მიეცათ ანგარიშის გახსნის უდავო შესაძლებლობა, მაგრამ მეკარე შუდრამ შესანიშნავად მოიგერია ორი მეტრის მანძილიდან პონომარიოვის მიერ დარტყმული ბურთი. მერვე წუთზე თბილისელმა მარცხენა გარემარბმა სპარტაკ ჯეჯელავამ ოსტატური მანევრით უკან ჩამოიტოვა ორი მოსკოველი მცველი და ძლიერად დაარტყა კარისაკენ. მოსკოველებმა ეს დარტყმა მოიგერიეს, მაგრამ მეკარის საჯარიმო მოედანზე მყოფმა ღოღობერიძემ მიუსწრო ბურთს და ზუსტი დარტყმით ხუთი მეტრის მანძილიდან პირველად შეარხია “ტორპედოს” კარის ბადე. მე-16 წუთზე მოსკოველმა მცველმა გომესმა თავისსავე კარში ძლიერი დარტყმით კიდევ ერთი ბურთი გაიტანა. თბილისელი თავდამსხმელები - მახარაძე, ღოღობერიძე, ს. ჯეჯელავა, არაშიძე და გ. ჯეჯელავა, რომლებსაც კარგად ეხმარებოდნენ ნახევარმცველები პანიუკოვი და ჭელიძე, თავისუფლად იკაფავდნენ გზას მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნისაკენ. მალე სპარტაკ ჯეჯელავამ მესამე ბურთი გაიტანა “ტორპედოს” კარში და პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 3:1 თბილისის “დინამოს” სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში უპირატესობა ძირითადად თბილისელთა ხელში იყო. ტორპედოელებმა ერთადერთი ბურთის გატანა “დინამოს” კარში მხოლოდ 11-მეტრიანი თავისუფალი საჯარიმო დარტყმით მოახერხეს. მეოთხე ბურთი “ტორპედოს” კარში თბილისელთა მხრიდან კვლავ სპარტაკ ჯეჯელავამ გაიტანა.

ეს საინტერესო მატჩი დამთავრდა თბილისის “დინამოს” სასარგებლოდ 4:1.

ამჟამად, მიუხედავად იმისა, რომ კიდევ ორი მატჩი დარჩა ჩასატარებელი (“ტრაქტორი” - “ტორპედო”; “ზენიტი” - ვვს”), პირველი საპრიზო ოთხი ადგილი უკვე გამორკვეულია. პირველ ადგილზეა მოსკოვის “ცდკა”, მეორეზე - მოსკოვის “დინამო”, მესამეზე - თბილისის “დინამო”, ხოლო მეოთხეზე - კიევის “დინამო”. მე-5-მე-6 ადგილს ინაწილებენ მოსკოვის “ტორპედოსა” და კუიბიშევის “კრილია სოვეტოვის” გუნდები (22-22 ქულა), ხოლო მეშვიდე ადგილზეა სტალინგრადის “ტრაქტორი” (21 ქულა). მოსკოვის “ტორპედოსთან” გამარჯვების შემთხვევაში სტალინგრადის “ტრაქტორის” გუნდი გამოვა საპატიო მეხუთე ადგილზე. გამორკვეულია აგრეთვე უკანასკნელი ადგილი. იგი დაიკავა მოსკოვის სამხედრო საჰაერო ძალთა გუნდმა.

ა. გოგოლაშვილი
“კომუნისტი”, 21 ოქტომბერი, 1947 წ.